INTERNATIONAL MONETARY FUND

საქართველო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანამშრომლების ვიზიტის დასკვნითი განცხადება

4 მარტი, 2015

დასკვნით განცხადებაში წარმოდგენილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) წევრ ქვეყნებში სსფ-ს თანამშრომლების ოფიციალური ვიზიტის (მისიის) ბოლოსთვის გაკეთებული წინასწარი მიგნებები. მისიები ხორციელდება სისტემატური (ჩვეულებრივ ყოველწლიური) კონსულტაციების ფორმით სსფ-ს წესდების IV მუხლის დებულების მიხედვით, სსფ-ს ფინანსური რესურსების გამოყენების თხოვნის განაცხადის დასაკმაყოფილებლად (სსფ-დან სესხის აღებისას), სსფ-ს მეთვალყურეობით მიმდინარე პროგრამის ან ქვეყნის ეკონომიკურ ვითარების მიმოხილვის მიზნით.

ხელისუფლებამ თანხმობა განაცხადა წინამდებარე განცხადების გამოქვეყნებაზე. მასში გამოთქმული მოსაზრებები სსფ-ს ცალკეულ თანამშრომლებს ეკუთვნის და აუცილებელი არ არის წარმოადგენდეს სსფ-ს აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს მოსაზრებას. ამ მისიის მუშაობას შეფასება არ მოხდება დირექტორთა საბჭოს სხდომაზე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია, ბატონი მარკ გრიფითსის ხელმძღვანელობით, თბილისს ამა წლის 23 თებერვლიდან 4 მართამდე სტუმრობდა და მისი მიზანი იყო მეზობელ ქვეყნებში განვითარებული მოვლენების საქართველოს ეკონომიკაზე გავლენის შესაფასება და ამ ახალი გამოწვევების გადალახვის საუკეთესო გზების ძიება. მისია შეხვდა საქართველოს პრემიერ მინისტრს - ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, ვიცე-პრემიერს - ბატონ გიორგი კვირიკავშილს, ფინანსთა მინისტრს - ბატონ ნოდარ ხადურს, ეროვნული ბანკის პრეზიდენტს - ბატონ გიორგი ქადაგიძეს, სხვა ოფიციალურ პირებს, ასევე საერთაშორისო საზოგადოების, სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს. მისიის ბოლოს, ბატონმა მარკ გრიფითსმა შემდეგი განცხადება გააკეთა:

საქართველოს ეკონომიკაზე ძლიერი გარე შოკების რამდენიმე ფაქტორის კომბინაციამ იქონია გავლენა. მათ შორისაა რუსეთ-უკრაინის კრიზისი, რუსეთში რეცესიის გაღრმავება (ორივე ერთად ტალღისებურ ეფექტს იწვევდა რეგიონში) და სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტების დევალვაცია. ამ შოკების გამო საქართველოს ექსპორტი 30 პროცენტით არის შემცირებული წინა წელთან შედარებით, ხოლო უცხოეთში მომუშავე ქართველების მიერ განხორციელებული ფულადი გზავნილები - 25 პროცენტით.

ყოველივე ამის შედეგად ქვეყნის ეკონომიკური აქტივობა შენელებულია. იანვარში გამოშვება მხოლოდ 0.5 პროცენტით გაიზარდა წინა წელთან შედარებით. მიმდინარე წელს ეკონომიკურმა ზრდამ შეიძლება 2 პროცენტს მიაღწიოს, თუმცა ეს პროგნოზიც რისკების შემცველია. საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკური აქტივობა უფრო მეტადაა შენელებული და მათი ვალუტების გაუფასურება აზიანებს საქართველოს კონკურენტუნარიანობას.

ექსპორტიდან, ფულადი გზავნილებიდან და ტურიზმიდან შემოსავლების კლების გამო გაზრდილია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და 2014 წლისთვის მთლიანი შიდა

პროდუქტის (მშპ) დაახლოებით 9.5 პროცენტია. უცხოური ვალუტით შემოსავლების შემცირების გამო 2014 წლის იანვრიდან ლარი 20 პროცენტზე მეტით გაუფასურდა აშშ დოლართან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებელი დიდია, ბევრ სხვა ქვეყანაშიც მსგავსი სიტუაციაა დოლარის გამყარების გამო. მართლაც, რეგიონში ბევრი ვალუტა ლარზე მეტად გაუფასურდა. შექმნილი ვითარებიდან აშკარაა, რომ აშშ დოლარის მიმართ გაუფასურებული ლარი ხარჯებს უზრდის მათ, ვისაც კრედიტები აქვთ უცხოური ვალუტით. ეს კი ეკონომიკურ ზრდას შეანელებს.

ვალუტის კურსის გაუფასურების გამო მომდევნო თვეებში სავარაუდოდ ინფლაცია გარკვეულწილად გაიზრდება საქართველოს ეროვნული ბანკის 5 პროცენტიანი ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებლის მიმართულებით. თუმცა, ინფლაციის ამგვარი ზრდა დაბალი ნიშნულიდან დაიწყება, რადგან თებერვალში ინფლაცია მხოლოდ 1.3 პროცენტი იყო, ნაწილობრივ იმის გამო, რომ ნავთობზე ფასებმა იკლო. იმპორტული პროდუქციის დაბალი საწყისი ღირებულება ასევე შეაკავებს ინფლაციის მაჩვენებელს.

საქართველოს მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა უნდა ითანამშრომლონ უთრიერთ ვალდებულებათა პატივისცემის და ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის პირობებში და ახალი გამოწვევების საპასუხოდ შეიმუშაონ ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა მყარი ეკონომიკური ფუნდამენტის, რეფორმებზე ორიენტირებული ხელისუფლების და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფონზე, საქართველოს გააჩნია კარგი წინაპირობები ამჟამინდელი გამოწვევების დასაძლევად.

მთავრობა შექებას იმსახურებს ბიუჯეტის დეფიციტის მშპ-ს 3%-ზე შენარჩუნებისთვის, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება პროგრამით განსაზღვრულ მაჩვენებელს. თუმცა, 2015 წლის ეკონომიკური ზრდის დაბალი მაჩვენებელი იმაზე მეტყველებს, რომ საგადასახადო შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში პროგნოზირებულზე ნაკლები იქნება. ამდენად, მთავრობამ შესაბამისი ზომები უნდა განახორციელოს ბიუჯეტის დეფიციტის დასაცავად. ამ მიმართულებით მთავრობამ საჭირო ნაბიჯები უკვე გადადგა: საჯარო მოხელეების პრემიები შეამცირა და ადმინისტრაციული ხარჯების შეზღუდვისკენ მიმართული ძალისხმევა განახორციელა. მთავრობამ ეს გადაწყვეტილებები სისრულეში უნდა მოიყვანოს და ბიუჯეტში ცვლილებები შეიტანოს, რომელიც გულისხმობს გარკვეული გადასახადების ზრდას და ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შემცირებას, რათა ბიუჯეტის დეფიციტის ზრდა შეიზღუდოს. თუმცა, ამასთან სოციალური ხარჯები უნდა შენარჩუნდეს და დაიხვეწოსსოციალური დახმარების მიზნობრიობის განმსაზღვრელი ფაქტორები სოციალურად შეჭირვებულთა და უპოვართა დაცვის მიზნით.

მისია სრულად უჭერს მხარს საქართველოს ეროვნული ბანკის პოლიტიკას, რაც გულისხმობს სავალუტო ბაზარზე ინტერვენციებისგან თავის შეკავებას და ლარის მცურავ რეჟიმში შენარჩუნებას. საქართველოს ეროვნული ბანკის მთავარი მიზანია ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა და ამ მიზნის მიღწევა დამოკიდებულია მცურავი გაცვლითი კურსის არსებობაზე. ამასთანავე, სწორედ მცურავი გაცვლითი კურსი

უზრუნველყოფს გარე შოკების ნეგატიური გავლენის შერბილებას. გრძელვადიანი შოკების შესაკავებლად განხორციელებული ინტერვენციები მხოლოდ საქართველოს სავალუტო რეზერვებს შეამცირებს და შეანელებს ქვეყნის სავაჭრო დეფიციტის კლებას.

საქართველოს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა დაცვას და პატივისცემას საჭიროებს, რათა მან თავისუფლად განახორციელოს მისი ძირითადი ამოცანა - ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა და ფინანსური სექტორის სიჯანსაღე, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს გრძელვადიან, სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას.

დაბოლოს, მოველით იმ გეგმების ხილვას რომელიც დააჩქარებს რეფორმებს რათა საქართველო უფრო მიმზიდველი გახდეს ბიზნესის განხორციელებისთვის, ინვესტირებისთვის და სამუშაო ადგილების შექმნისთვის და მომავალში ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისთვის. ამ კონტექსტში გათვალისწინებული უნდა იქნეს უცხოურ ბიზნესზე ბოლოდროინდელი შეზღუდვების შერბილება, კერძო სექტორში ახალი ინვესტიციების მოზიდვა, დანაზოგების ხელშეწყობა საპენსიო სისტემისა და კაპიტალის ბაზრის რეფორმირების გზით, საგანმანათლებლო სტანდარტების გაუმჯობესება.

მისიას სურს მადლობა გადაუხადოს საქართველოს მთავრობასა და ეროვნულ ბანკს ნაყოფიერი დისკუსიებისთვის. სულმოუთმენლად ველით მთავრობის კონკრეტული საკანონმდებლო ინიციატივის გაცნობას ბიუჯეტში ცვლილებების შესატანად, რაც ბიუჯეტის დეფიციტს შეზღუდავს. ასევე ველით, რომ ხელისუფლება გააგრძელებს მცურავი გაცვლითი კურსის პოლიტიკის განუხრელ დაცვას. იმედს გამოვთქვამთ, რომ ეს ნაბიჯები ოპერატიულად გადაიდგმება, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ მალე შეძლოს საქართველოში ჩამოსვლა პროგრამის მეორე მიმოხილვის ჩასატარებლად.